შპს კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი (რენის ბიზნესის სკოლასთან, საფრანგეთი) საბაკალავრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Joint Bachelor Programme (with Rennes School of Business, France) in Business Administration

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური

სწავლების ენა	ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0413
ქართულად:	მენეჯმენტის ბაკალავრი
ინგლისურად:	Bachelor of Management
პროგრამის დამტკიცების თარიღი	03.11.2020, უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანება №01/01-67
პროგრამის განახლების თარიღი	22.04.2024, უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებაN 01/01-23, 22.04.2024
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ხელმძღვანელი: - ელენე ჯღარკავა, აფილირებული ასოცირებული პროფესორი

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	184 ECTS კრედიტი

ბიზნესის ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება რენის ბიზნესის სკოლასთან (საფრანგეთი) თანამშრომლობით და მოიცავს 184 ECTS კრედიტს; სწავლების პირველი წელი - 60 ECTS კრედიტი, სწავლების მეორე წელი - 60 ECTS კრედიტი, ხოლო მესამე წელი - 64 ECTS კრედიტი. პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა შეადგენს 3 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 სასწავლო კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისათვის განკუთვნილ დროს).

პროგრამის სტანდარტული ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 10 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროგრამა სტრუქტურულად დაყოფილია 2+1 სწავლების მოდელით, რომელიც გულისხმობს პირველი ორი აკადემიური წლის კავაკსიის ბიზნესის სკოლაში სწავლას, ხოლო მესამე წელი კი რენის ბიზნესის სკოლაში სწავლას. პროგრამაში უცხოენოვანი საგნების ნაწილი წარმოდგენილია პროფესიული ინგლისური ენისა და მეორე უცხო ენის - ფრანგულის სახით. სწავლების მესამე წელს, რენის ბიზნესის სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად, სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნის დონის დადასტურება არანაკლებ 6,0 IELTS, 80 TOEFL ან მათი ეკვივალენტი. ამასთან რენის ბიზნესის სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად, სტუდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს პროგრამის სასწავლო გეგმის პირველი ორი წლის განმავლობაში გათვალისწინებული კომპონენტები და მინიჭებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი კრედიტები. ერთობლივი პროგრამის დასრულებისთვის, რენის ბიზნესის სკოლაში პროგრამის ნაწილის გავლა სტუდენტებისთვის არის სავალდებულო.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
➢ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ➢ ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება. ➢ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოსილი პირი ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნას B2 დონეზე (IELTS-6.0; TOEFL-78; B2 დონის სხვა რელევანტური საერთაშორისო სერტიფიკატი) ან აბარებს უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებულ B2 დონის შესაბამის გამოცდას. ➢ პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით.	

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	პროგრამა შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა კავკასიის ბიზნესის სკოლის და რენის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კავკასიის ბიზნესის სკოლის რენის ბიზნესის სკოლასთან ერთობლივი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზნებია, სტუდენტს: Obj. 1 - მისცეს ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაზისო, ასევე ფუნქციურ მიმართულებებში; Obj. 2 - განუვითაროს საწყისი და საშუალო დონის მენეჯერული რგოლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები და მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო კომპანიებში შესაბამისი ფუნქციების ეფექტური შესრულებისათვის; Obj. 3 - მისცეს თეორიული ცოდნა და განუვითაროს უნარ-ჩვევები, რომლებიც საჭირო იქნება ენტრეპრენერული საქმიანობისათვის; Obj. 4 - ჩამოუყალიბოს ისეთი ფასეულობები, რომლებიც გახდიან მას კონკურენტუნარიან, მაღალკვალიფიციურ, ზნეობრივად სრულყოფილ, მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების და ეთიკური პასუხისმგებლობის მქონე პირად.
პროგრამის სწავლის შედეგები	ბიზნეს ადმინისტრირების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი კომპეტენციები: P.L.O.1. - განსაზღვრავს და აღწერს ბიზნესის, ეკონომიკის და მენეჯმენტის ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, მოდელებს და მიდგომებს, მსჯელობს მათ შესახებ; P.L.O.2. პრაქტიკაში იყენებს მენეჯერული პოზიციისთვის საჭირო ცოდნას და უნარ-ჩვევებს, მონაწილეობს სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში P.L.O.3. აანალიზებს არსებულ სიტუაციას შესაბამისი მოდელებისა თუ ანალიტიკური საშუალებების მეშვეობით, ახდენს საკვანძო საკითხების იდენტიფიცირებას და აკეთებს შესაბამის დასკვნებს; P.L.O.4. ახორციელებს ეფექტურ წერილობით და სიტყვიერ კომუნიკაციას ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებით, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გარემოში; P.L.O.5. აღწერს, თუ რას ნიშნავს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკური ქცევა და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.
დასაქმების სფეროები	- ნებისმიერი პროფილის და ინდუსტრიის კომპანიები; - საკონსულტაციო სექტორი; - საბანკო და არა საბანკო ფინანსური ინსტიტუტები;

	- სხვადასხვა პროფესიულ და მენეჯერულ პოზიციებზე სარეკლამო ან მარკეტინგული კვლევის ორგანიზაციებში; - მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოები; - საბანკო სექტორი; - არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები; - სამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაციები; - არასამთავრობო ორგანიზაციები.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	კურსდამთავრებულს აქვს შესაძლებლობა სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	კოდი	წინაპირობა	სასწავლო კურსი/მოდული	I		II		III		ჯამური ECTS კრედიტი
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
კავკასიის ბიზნესის სკოლის სავალდებულო სასწავლო კურსები										
1.	CRFR 0001		ფრანგული ენა A1. 0	5						
2.	CRFR 0002	CRFR 0001	ფრანგული ენა A1.		5					
3.	CRFR 0003	CRFR 0002	ფრანგული ენა A2.0			5				
4.	CRFR 0004	CRFR 0003	ფრანგული ენა A2.				5			
5.	CRMA 0001		კალკულუსი	5						
6.	CRMA 0002	CRMA 0001	წრფივი ალგებრა		5					
7.	CREC 1110		მიკროეკონომიკის საფუძვლები	5						
8.	CREC 1210	CREC 1110	მაკროეკონომიკის საფუძვლები		5					
9.	CRPE 0001		P1 პროფესიული ინგლისური ენა	2.5						
10.	CRPE 0002	CRPE 0001	P2 პროფესიული ინგლისური ენა		2.5					
11.	CRPE 0003	CRPE 0002	P3 პროფესიული ინგლისური ენა			2.5				
12.	CRPE 0004	CRPE 0003	P4 პროფესიული ინგლისური ენა				2.5			
13.	IS101E		ბიზნეს საინფორმაციო სისტემები		5					
14.	CRAC 1110		ფინანსური აღრიცხვა	5						
15.	CRAC 1210	CRAC 1110	მენეჯერული აღრიცხვა		5					
16.	CRMK 1210		მარკეტინგის საფუძვლები	5						
17.	CRBC 1210		ბიზნეს კომუნიკაცია		5					
18.	CRBL 2110		ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები			5				
19.	CRST 2110	CRMA 0002	ბიზნეს სტატისტიკა			5				
20.	CRCSR 2110		კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა			5				

21.	CRMG 2110		ორგანიზაციული ქცევა			5				
22.	CRMG 2111		ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მართვის საფუძვლები			5				
23.	MK202E	CRMK 1210; CREC 1210	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი				5			
24.	CRFI 2210		ფინანსური უწყისების ანალიზი				5			
25.	CRMG 2210	CRMG 2110	ადამიანური რესურსების მართვა				5			
26.	IS201E		საინფორმაციო სისტემები და ვებზე დაფუძნებული ოპერაციები				5			
რენის ბიზნესის სკოლის სავალდებულო სასწავლო კურსები										
27.	HR301E	CRMG 2110	საერთაშორისო ადამინური რესურსების მართვა					4		
28.	NG302E		საერთაშორისო მოლაპარაკებების ხელოვნება					4		
29.	ST302E	CREC 1210; CRMK 1210; CRAC 1210	სტრატეგია					4		
30.	ST307E		საერთაშორისო ბიზნეს გარემო					4		
31.	RM302E		კვლევის მეთოდები საბაკალავრო ნაშრომისთვის					2		
32.	CR302E		გონივრული გადაწყვეტილებების მიღება						4	
33.	ST308E		სამეწარმეო აზროვნება და ინოვაციები						4	
34.	PM301E		პროექტების მართვა						4	
35.	0LV2F2	CRFR 0004	ფრანგული ენა 1					2		
36.	0LV2F2	0LV2F2	ფრანგული ენა 2						2	
37.	TS301E		საბაკალავრო ნაშრომი						6	
რენის ბიზნესის სკოლის არჩევითი სასწავლო კურსები (24 ECTS კრედიტის მოცულობით)										
38.	FI300E	CRMA 0001; CRMA 0002	ფინანსური მათემატიკა					4		
39.	FI301E	CRAC 1110	კორპორაციული ფინანსების კონცეფციები					4		
40.	FI303E	CRAC 1110	ფინანსური ანალიზი					4		
41.	FI302E	FI303E	ფინანსური ბაზრები და რისკების მართვა						4	
42.	FI304E		საბანკო სისტემები და მომსახურებები						4	
43.	FI305E	CRAC 1110; FI303E	შესავალი აუდიტში						4	
44.	MK303E	CRMK 1210	ომნი არხის მენეჯმენტი და დისტრიბუცია					4		
45.	MK 313E		მომხმარებლის ქცევა					4		

46.	MK306E	CRMK 1210	ციფრული მარკეტინგის სტრატეგია					4		
47.	MK307E		ბიზნეს-ბიზნესთან (B2B) მარკეტინგი						4	
48.	MK314E		ბრენდის მართვა და მდგრადობა						4	
49.	MK309E	MK306E	ციფრული მარკეტინგული კომუნიკაცია						4	
ECTS კრედიტები			**სემესტრში**	**27.5**	**32.5**	**32.5**	**27.5**	**32**	**32**	
			წელიწადში	**60**		**60**		**64**		**184**